სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/151

ქ. თბილისი 29 ივლისი 2025წ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე (მოიცავს არანაკლებ 60 კრედიტს) ჩარიცხვის წესის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, „ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამისა (მოიცავს არანაკლებ 180 კრედიტს) და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის (მოიცავს არანაკლებ 60 კრედიტს) (გარდა რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამებისა) შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 30 სექტემბრის №206/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის შესაბამისად, უნივერსიტეტის ვიცე-რექტორის, ქალბატონ თამარ წერეთლის სამსახურებრივი ბარათის და აკადემიური საბჭოს 2025 წლის 29 ივლისის №01-05-02/20 ოქმის საფუძველზე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. დამტკიცდეს „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე (მოიცავს არანაკლებ 60 კრედიტს) ჩარიცხვის წესი“ (დანართი).
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე (მოიცავს არანაკლებ 60 კრედიტს) ჩარიცხვის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ეს წესი არეგულირებს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე (მოიცავს არანაკლებ 60 კრედიტს) (შმდგომში - მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა) ჩარიცხვის პირობებს.
2. ამ წესით დადგენილი რეგულაციები არ ვრცელდება იმ პირებზე:
ა) რომელთა ჩარიცხვა აღნიშნულ პროგრამაზე ხორციელდება საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე;
ბ) რომლებსაც უფლება აქვთ უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების უფლება მოიპოვონ საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 52[1] მუხლის მე-7 პუნქტის და „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის #224 ბრძანების შესაბამისად.
3. ამ წესით დადგენილი პროცესის ადმინისტრირებას ახორციელებს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესების მართვის სამსახური (შემდგომში - სამსახური) შესაბამის ფაკულტეტთან კოორდინაციით.

მუხლი 2. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

1. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელსაც აქვს არანაკლებ 5-წლიანი პროფესიული გამოცდილება მართვის/ადმინისტრირების სფეროში.
2. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული სამაგისტრო გამოცდის/გამოცდების ან გასაუბრების შედეგების საფუძველზე.

მუხლი 3. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე ვაკანტური ადგილების განსაზღვრა

1. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვისათვის მისაღები კონტიგენტის რაოდენობა განისაზღვრება აკადემიური საბჭოს მიერ სამსახურის უფროსის წარდგინებით, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის ინსტრუქციის შესაბამისად.

2. ჩარიცხვისათვის მისაღები კონტიგენტის თაობაზე გადაწყვეტილება მიიღება მომდევნო მიღების გამოცხადებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე.

მუხლი 4. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე რეგისტრაცია

1. უნივერსიტეტის მიერ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველ პირთა (მაგისტრანტობის კანდიდატთა) მიღება შესაძლებელია გამოცხადდეს წელიწადში ორჯერ, შემოდგომის და გაზაფხულის სემესტრებში, უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით განსაზღვრული წესით და დადგენილ ვადებში.
2. მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაციის პერიოდის ხანგრძლივობა არ შეიძლება იყოს მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაციის თაობაზე რექტორის აქტის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან 5 კალენდარულ დღეზე ნაკლები.
3. მაგისტრატურაში ჩარიცხვის მსურველმა რექტორის სახელზე უნდა წარადგინოს:
ა) განცხადება ფაკულტეტის, სამაგისტრო პროგრამის მითითებით;
ბ) პირადობის მოწმობა და მისი ასლი;
გ) აკადემიური უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი - დიპლომი და მისი ასლი, ან კვალიფიკაციის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი და მისი ასლი;
დ) მართვის/ადმინისტრირების სფეროში არანაკლებ 5-წლიანი პროფესიული გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;
ე) ფოტოსურათი 4 ცალი ზომით 3x4 სმ და CD დისკი;
ვ) მიწერის მოწმობა და მისი ასლი, ან სამხედრო ბილეთი და მისი ასლი (სამხედრო ვალდებულთათვის);
ზ) უნივერსიტეტის ჩარიცხვის მსურველ მაგისტრანტობის კანდიდატთათვის დადგენილი სარეგისტრაციო საფასურის გადახდის დოკუმენტი.
4. მაგისტრანტობის კანდიდატი დოკუმენტაციას წარადგენს შესაბამისი ფაკულტეტის უფლებამოსილ პირთთან.
5. მაგისტრანტობის კანდიდატის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ პირს უბრუნდება მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების დედნები, რეგისტრირდება მაგისტრანტობის კანდიდატად და უფლება ეძლევა მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის სამაგისტრო გამოცდაში/გამოცდებში/გასაუბრებაში.

მუხლი 5. უნივერსიტეტის სამაგისტრო გამოცდა/გამოცდები/გასაუბრება

1. სამსახური, შესაბამის ფაკულტეტთან (აკადემიური დეპარტამენტი, პროგრამის ხელმძღვანელი) ერთად ადგენს სამაგისტრო გამოცდის/გამოცდების ან გასაუბრების შინაარსს/თემატიკას და გამოცდის/გამოცდების ან გასაუბრების ჩატარებასთან დაკავშირებულ პროცედურულ საკითხებს.
2. სამაგისტრო გამოცდის/გამოცდებისთვის კოეფიციენტებს და მინიმალური კომპეტენციის ზღვარს ადგენს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო სამსახურის უფროსის წარდგინებით.

3. სამაგისტრო გამოცდის/გამოცდების კოეფიციენტების, მინიმალური კომპეტენციის ზღვრის თაობაზე ინფორმაცია, აგრეთვე, საგამოცდო ტესტების ნიმუშები თავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე სამაგისტრო გამოცდებამდე ორი კვირით ადრე.
4. სამაგისტრო გამოცდა/გამოცდები/გასაუბრება ტარდება უნივერსიტეტის მიერ წინასწარ განსაზღვრულ შენობაში.
5. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლების მოსაპოვებლად მაგისტრანტობის კანდიდატმა უნივერსიტეტის სამაგისტრო გამოცდაში/გამოცდებში უნდა გადალახოს დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.
6. გასაუბრებისას მაგისტრანტობის კანდიდატის შეფასება ხორციელდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:
ა) მოტივირებულობა და პრეზენტაბელურობა - 1-3 ქულა;
ბ) პროფესიული ცოდნის დონე - 1-5 ქულა;
გ) სამუშაო გამოცდილება - 1-2 ქულა.
7. მაგისტრანტობის კანდიდატის მიერ მიღებული სამაგისტრო გამოცდის/გამოცდების/გასაუბრების შედეგები ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
8. სამაგისტრო გამოცდის/გასაუბრების შედეგის გასაჩივრების შემთხვევაში, საპრეტენზიო საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად, დგინდება სამაგისტრო გამოცდების/გასაუბრების საბოლოო შედეგები და ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

მუხლი 6. საგამოცდო/გასაუბრების კომისია/კომისიები

1. სამაგისტრო გამოცდის/გამოცდების/გასაუბრების ჩატარების მიზნით, იქმნება დარგობრივი კომისია/კომისიები, რომელთა შემადგენლობა მტკიცდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით, სამსახურის უფროსის წარდგინებით.
2. კომისიის/კომისიების შემადგენლობაში უნდა შედიოდნენ შესაბამისი მიმართულების/კვალიფიკაციის პირები. კომისიის წევრთა კანდიდატურების შერჩევას ახორციელებს შესაბამისი ფაკულტეტი აკადემიური დეპარტამენტის მონაწილეობით და წარუდგენს სამსახურის უფროსს.

მუხლი 7. სამაგისტრო გამოცდის/გამოცდების რანჟირება

1. უნივერსიტეტი სამაგისტრო გამოცდების საბოლოო შედეგების გამოქვეყნების შემდეგ, ადგენს სამაგისტრო გამოცდების კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტს, რომელიც იქმნება შესაბამის სამაგისტრო პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების რაოდენობის, მაგისტრანტობის კანდიდატის მიერ მიღებული ქულისა და უნივერსიტეტის სამაგისტრო გამოცდის/გამოცდებისთვის მინიჭებული კოეფიციენტის/კოეფიციენტების ან/და გამოცდის პრიორიტეტულობის გათვალისწინებით.
2. სამაგისტრო გამოცდების კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტში მოხვდება მხოლოდ ის მაგისტრანტობის კანდიდატი, რომელმაც სამაგისტრო გამოცდა წარმატებით ჩააბარა.
3. მაგისტრანტობის კანდიდატის კონკრეტული ქულა სამაგისტრო გამოცდაში გამოითვლება შემდეგი წესის დაცვით: მაგისტრანტობის კანდიდატის მიერ გამოცდაში მიღებული ქულა

იყოფა ამ გამოცდის მაქსიმალურ ქულაზე და მიიღება ნორმირებული ქულა, რაც გადამრავლდება უნივერსიტეტის მიერ წინასწარ დადგენილ კოეფიციციენტზე და მიიღება შესაბამისი სამაგისტრო გამოცდის კონკრეტული ქულა - საკონკურსო ქულა.

მუხლი 7. უნივერსიტეტში ჩარიცხვა

1. უნივერსიტეტში ჩარიცხვა ხდება სამაგისტრო გამოცდების კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტის ან გასაუბრების შედეგების მიხედვით შედგენილი რანჟირებული (რეიტინგული) სიის საფუძველზე.
2. თუ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე მაგისტრანტობის კანდიდატთა ჩარიცხვის პროცესში აღმოჩნდება, რომ ბოლო ადგილზე რანჟირებული მაგისტრანტობის კანდიდატების ნუსხიდან, ტესტის ნაწილების/გამოცდების/გასაუბრების პრიორიტეტების გათვალისწინების შემდეგ თანაბარი ჩარიცხვის უფლება აქვს ორ ან მეტ მაგისტრანტობის კანდიდატს, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, შესაძლებელია უნივერსიტეტისთვის გამოყოფილი მისაღებ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ფარგლებში, შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამას დაემატოს მისაღებ მაგისტრანტობის კანდიდატთა ადგილების ის რაოდენობა, რაც აუცილებელია თანაბარქულიანი მაგისტრანტობის კანდიდატთა ჩასარიცხად.
3. მაგისტრანტობის კანდიდატთა ჩარიცხვა შეიძლება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული აკადემიური უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის - დიპლომის და კანონმდებლობით დადგენილი წესით სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირის მიერ სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ.
4. მაგისტრანტობის კანდიდატის ჩარიცხვა ფორმდება უნივერსიტეტსა და მაგისტრანტობის კანდიდატს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.
5. იმ პირების მაგისტრატურაში ჩარიცხვის თაობაზე, რომლებთანაც გაფორმდა ხელშეკრულებები უნივერსიტეტის მიერ, კანონმდებლობით განსაზღვრული ვადაში გამოიცემა რექტორის ბრძანება და უნივერსიტეტი კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს ჩარიცხულ პირთა შესახებ ინფორმაციის ასახვას უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.
6. რექტორის ბრძანების გამოცემის შემდეგ პირი ხდება უნივერსიტეტის სტუდენტი მაგისტრანტი.

მუხლი 8. სამაგისტრო გამოცდა/გამოცდების/გასაუბრების შედეგების გასაჩივრება

1. მაგისტრანტობის კანდიდატს უფლება აქვს სამაგისტრო გამოცდის/გასაუბრების შედეგი გაასაჩივროს საპრეტენზიო საბჭოში, შედეგის გაცნობიდან 2 სამუშაო დღის ვადაში.
2. მაგისტრანტობის კანდიდატთა საჩივრების განხილვის მიზნით, უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით იქმნება საპრეტენზიო საბჭო, არა ნაკლებ 5 პირის შემადგენლობით. საპრეტენზიო საბჭოს შემადგენლობაში არ შეიძლება შედიოდეს პირი. რომელსაც მონაწილეობა აქვს მიღებული მაგისტრანტობის კანდიდატის შეფასებაში.

3. საპრეტენზიო საბჭო მაგისტრანტობის კანდიდატის საჩივრის განხილვას უზრუნველყოფს საჩივრის მიღებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში და იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:
ა) აკმაყოფილებს საჩივარს და ცვლის ან აუქმებს სამაგისტრო გამოცდის/გასაუბრების შედეგს;
ბ) არ აკმაყოფილებს საჩივარს და უცვლელად ტოვებს სამაგისტრო გამოცდის/გასაუბრების შედეგს.
4. საპრეტენზიო საბჭოს გადაწყვეტილება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით გასაჩივრდეს სასამართლოში.